ასოციაცია ,,დეა”

პროექტი:
„ჩვენ ვირჩევთ”

დონორი: საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

პროექტის ხანგრძლივობა:

პროექტის დაწყების თარიღი:
2014 წლის **25** ოქტომბერი;
პროექტის დასრულების თარიღი:
2015 წლის **25** აპრილი.

პროექტის მიზანი:

- საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარება ამომრჩეველთა განათლების გზით

პროექტი განხორციელდა:
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა (5 მაჟორიტარულ ოლქში) და ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის **15** მსხვილ თემში.

პროექტის ამოცანები:

- **ამოცანა 1.** ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპლიტეტის 15 მსხვილ თემში ამომრჩევლების (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ახალგაზრდების) გათვითცნობიერებისა და განათლების ხელშეწყობა საარჩევნო უფლებებზე;

- **ამოცანა 2.** სტერეოტიპული საზოგადოებრივი ხედვებისა და დამოკიდებულების ცვლილებების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე;

- **ამოცანა 3.** უნივერსალური დიზაინის აღსრულებისა და გარემოს ადაპტირების მიმართულებით არსებული ბარიერების წარმოჩენა მათი დაძლევის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობისა და უფლებების რეალიზაციისთვის.

პროექტის საქმიანობები:

- გამოიცა და გავრცელდა 2500 ც. საინფორმაციო გზამკვლევი „ჩვენ ვირჩევთ";

- ასახულია ინფორმაცია საარჩევნო უფლებებზე (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პასიურ საარჩევნო უფლებაზე), ადგილობრივი თვითმმართველობის არსისა და კომპეტენციების, საარჩევნო სისტემებზე, მართვის, საბიუჯეტო და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებებზე.

- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ უფლებებზე.

ჩატარდა ტრენინგები
პოლიტიკურ უფლებებსა და კულტურაზე,

მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობებსა და კონცეფციებზე

- ტრენინგები ჩატარდა სამი შერეული ჯგუფისთვის (სულ 60 მონაწილე). მასში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდებმა, ასოციაცია ,,დეას" ახალგაზრდული კლუბების წევრებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და მათი ოჯახის წევრებმა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თემებში გამგებლის რწმუნებულებმა.

უფლებები

MEDIACENTR

ASSOCIATION

,,საუბრები არჩევნებზე"

- **ჩატარდა სულ 20 სადისკუსიო შეხვედრა** ქალაქ ზუგდიდის 5 მაჟორიტარულ ოლქსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 15 მსხვილ თემში.
- **საუბრების თემატიკა იყო:** საარჩევნო უფლებები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.
- **შეხვედრებს სულ დაესწრო 562** დამსწრე, აქედან კაცი – **97,** ქალი _ **465.**

შეხვედრების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ

- 1. საზოგადოება და თვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ არიან გათვითცნობიერებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო უფლებებში და აუცილებელია უწყვეტი და ხშირი შეხვედრები საზოგადოებასთან და მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათი ოჯახის წევრებთან და მათი ინფორმირება და გათვითცნობიერება საარჩევნო უფლებებზე;

- საზოგადოების უმრავლეს ნაწილს მიაჩნია, რომ ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებს აქვთ საარჩევნო უფლებები და მათ უნდა ჰქონდეთ როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობები, ხოლო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონდეთ გონებრივი შეზღუდვის მქონე ადამიანებს, რადგან ისინი ვერ აცნობიერებენ საკუთარ არჩევანს;

- მცირე ნაწილი საზოგადოებისა მიიჩნევს, რომ გონებრივი შეზღვის მქონე ადამიანებსაც უნდა მიეცეს არჩევნებში აქტიურ ამომრჩევლად მონაწილეობის უფლება თუნდაც სხვისი დახმარებით, რადგან ეს აუცილებელია მათი სოციალიზაციისთვის. საზოგადოების აზრით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს და შეამცირებს მათზე ზეგავლენის საკითხს,

- მცირე ნაწილი კი თვლის, რომ პასიური საარჩევნო უფლება არ უნდა ჰქონდეთ ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებსაც თუნდაც თანაბარი შესაძლებლობისას, რადგან ,,სარბენია ბევრი და სარბენი საქმეების კეთება ევალებათ დეპუტატებს, რწმუნებულებს".

- უნდა მოწესრიგდეს გარემო, მათ შორის, საარჩევნო გარემოც. შეიცვალოს საზოგადოების სტერეოტიპული ხედვები და დამოკიდებულებები;
- გამოკვეთა ტერმინოლოგიის პრობლემაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ნაცვლად ხმარობენ ტერმინებს:
- ინვალიდი;
- გონებრივად დაქვეითებული;
- ფიზიკური ნაკლის მქონე;
- ეტლს მიჯაჭვული;
- უნარშეზღუდული;
- შეზღუდული უნარების მქონე;
- გონებაჩლუნგი;
- ფიზიკურად დაქვეითებული;
- გონებაჩამორჩენილი.

მომზადდა და რადიო „ათინათის" ეთერში გავიდა 2 რადიოგადაცემა „არჩევანი/არადანი"

- (1) 17.02.2015 წელს 17:16 საათზე პირველ გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარემ მერაბ ქვარაიამ და სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტის წარმომადგენელმა, იურისტმა რუსუდან პაჭკორიამ. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია საარჩევნო უფლებებზე (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებზე, პრობლემებზე, რომელიც უფლებების რეალიზაციის გზაზე ვლინდება), თვითმმართველობის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილ ღონისძიებებზე.

- 2) 25.02 2015წ. 17:16 საათზე. მეორე რადიოგადაცემის სტუმრები იყვნენ ასოციაციის იურისტი ბაკურ გოგოხია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ასოციაცია ,,დეას" წევრი ჯონი გერგედავა. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო უფლებების რეალიზაციისას არსებულ პრობლემებზე, მოსახლეობის ხედვასა და დამოკიდებულებაზე, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თვალით აღქმულ საარჩევნო უფლებაზე, პროცესსა და საარჩევნო გარემოზე.

აქცია-მსვლელობა ,,ჩვენ ვირჩევთ"

- აქცია გაიმართა 3 დეკემბერს _ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს.
- აქცია–მსვლელობის დასასრულს გაიმართა ფლეშ-მობი: ცეკვა ეტლებით.

არჩევნები და პოლიტიკა
არ არის ჩვენგან
განყენებული საქმე!

თანაბარი ოპორტუნობები
თანაბარი შესაძლებლობები

კინოჩვენება შეზღუდულობის თემაზე

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე საზოგადოების სტერეტიპული ხედვების დაძლევის მიზნით ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 15 თემში ჩატარდა ფილმის ჩვენებები შეზღუდულობის თემაზე. ფილმის ჩვენებას სულ დაესწრო 565 მონაწილე, აქედან, კაცი _ 159, ქალი _ 406.

აქცია ,,შეცვალე" ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და ზუგდიდის მუნიციპლიტეტის 15 მსხვილ თემში

- უნივერსალური დიზაინის ალსრულებისა და გარემოს ადაპტირების მიმართულებით არსებული ბარიერების წარმოჩენის მიზნით ჩატარდა აქცია ,,შეცვალე". შეიქმნა მონიტორინგის 16 ახალგაზრდული ჯგუფი, რომელთაც განახორციელეს ადგილებზე მონიტორინგი. მონიტორინგის ჯგუფებში სულ გაწევრიანდა 77 ახალგაზრდა.

- ახალგაზრდული ჯგუფებმა მოახდინეს ფოტოდაფიქსირება 150–მდე ობიექტისა, მათ შორის, საბავშვო ბაღები, სკოლები, უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, თეატრი, გუბერნია–მერია–გამგეობა-საკრებულოების შენობები, იუსტიციის სახლი, ომბუდსმენის რეგიონულ ოფისი, მუზეუმი, ეკლესიები, მარკეტები, მაღაზიები, სასტუმროები, აფთიაქები, საავადმყოფოები და ამბულატორიები, ბავშვთა პოლიკლინიკა, რესტორნებო, ბაზარი, სალონები, გასართობი ადგილები, ავტოსადგური, ბოტანიკურ ბაღი, ქუჩები, გადასასვლელები და გადასასვლელებზე ბორდიურები, პარკირების ადგილები და ა.შ.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა:

- უმრავლესი ნაწილი შენობა–ნაგებობებისა შეუღწევადია და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი აკმაყოფილებს პირველად შეღწევადობას;
- მოუწერიგებელია ქუჩებზე ბორდიურები და გადასასვლელები, შუქნიშნები;
- შენობა–ნაგებობებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ პირველად შეღწევადობას, მეტწილად დარღვევით მიშენებულია პანდუსები, მათ შორის, ახლადაშენებულ ობიექტებზეც.

საინფორმაციო-სადისკუსიო შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან

- შეხვედრაზე წარდგენილ იქნა აქცია ,,შეცვალე"-ს ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის მასალები.

- სამოქმედო გეგმა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2013-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიზანი, მიმართულებები და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები

საგაზეთო სტატიები

- არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის საკითხების მიმოხილვაზე მომზადდა და დაიბეჭდა 2 საგაზეთო სტატია და დაიბეჭდა გაზეთ ,,კვირის პალიტრაში" .

პროექტის საბოლოო პრეზენტაცია

- 24 აპრილს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა პროექტის ,,ჩვენ ვირჩვეთ" შემეჯამებელი პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო სტრუქტურების ადმინისტრაციების, ახალგაზრდობის, მედიისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. პრეზენტაციაზე საზოგადოებას წარედგინა პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების ანგარიში/მასალები. პრეზენტაციას სულ დაესწრო 54 დამსწრე, აქედან, კაცი _ 15, ქალი _ 39. პრეზენტაცია გაშუქდა ადგილობრივი მედიის მიერ.

ასოციაცია „დეა"

- მადლობას უხდის დონორს მხარდაჭერისთვის და პროექტში მონაწილე თითოეულ ადამიანს თანამშრომლობისთვის.